



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სამართლებრივი დასკვნა

„საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის ფარგლები  
„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საქართველოს“ კრედიტორების  
ინფორმირებისა და დაცვის საკითხზე“

ივლისი, 2017



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

ქ. თბილისი

## I საკითხის ანალიზი

2016 წლის შემოდგომაზე, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „საქართველოს“ ფაქტობრივი გაკოტრების თაობაზე, რამაც მომხმარებელთა მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი გამოიწვია. დაზარალებული მომხმარებლების საჯარო პროტესტი დღემდე გრძელდება. საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. პასუხისმგებამია მიცემული კომპანიის ფინანსურ მენეჯმენტზე პასუხისმგებელი პირები. სახელმწიფოს მხრიდან დაყადაღებულია კომპანიის უძრავ-მოძრავი ქონება. თბილისის საქალაქო სასამართლოში, დღემდე მიმდინარეობს სამართალწარმოების პროცესი.

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა დადგენილიყო სახელმწიფოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროულობის, ეფექტურობისა და მართლზომიერების ფარგლები. ორგანიზაციამ ამ მიზნით წერილობითი კომუნიკაცია აწარმოა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ვინაიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, *ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, განახორციელოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარების, სპეციალიზებული დეპოზიტარების, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საქმიანობის ზედამხედველობა ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.*

2016 წლის 15 ნოემბერს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2016 წლის 4 ოქტომბერს, „კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად“ რომელი საიდენტიფიკაციო ნომრის ქვეშ არსებული სუბიექტი იქნა რეგისტრირებული?

საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის 16 ნოემბრის წერილის თანახმად, „საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის 4 ნოემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად რეგისტრირებული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ #206332191).“<sup>1</sup>

2016 წლის 5 დეკემბერს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თქვენი შესწავლისა და მოკვლევის თანახმად, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 206332191) მიერ მოზიდული სახსრები, როდის აღემატა (რიცხვი, თვე, წელი) ოთხასზე მეტ ფიზიკურ პირს ან/და ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა, როდის არემატა ხუთ მილიონ ლარს? (რიცხვი, თვე, წელი).
- საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან, მოცემულ დრომდე, რატომ არ ხდება აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 433101895) მიმართ,

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 16 ნოემბრის წერილი: #2-08/3516-16

რომლის მესაკუთრეც და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) ერთი და იგივე პირები ან/და ოჯახის წევრები არიან?

- მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სებ რა პერიოდიდან (წელი, თვე, რიცხვი) ახორციელებდა ზედამხედველობას შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) მიმართ, რა ქმედითი ნაბიჯები იქნა გადადგმული მეანაბრების უფლებების დაცვის კუთხით?
- მუშაობს თუ არა სებ-ი რაიმე სტრატეგიაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) და შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) მომხმარებელთა უფლებები დაცული.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის 21 დეკემბრის წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა დასმულ საკითხებზე შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარებამდე არ იყო ფინანსური სექტორის წარმომადგენელი და მისი საქმიანობა არ წარმოადგენდა ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს. კომპანია ეროვნული ბანკის ყურადღების ქვეშ მოექცა მას შემდეგ, რაც მასმედიის სხვადასხვა საშუალებით დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია ფიზიკური პირებისგან სახსრების მოზიდვის მიზნით. ეროვნულმა ბანკმა ინფორმაცია კომპანიის მიერ ფიზიკური პირებისგან მოზიდული თანხების შესახებ მიიღო 2012 წლის 27 ივნისს.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 19 სექტემბრის #927-1კ განკარგულებით, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) აღიარებულ იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად, ხოლო 20 სექტემბრის #931-1კ განკარგულებით, მას აეკრძალა ფართო მასებიდან თანხების მოზიდვა და კომპანიასთან დაკავშირებულ მხარეებისათვის ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევა. მოგვიანებით, ეროვნული ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნული იურიდიული პირის ფაქტიურ მისამართზე ფუნქციონირებდა და სახსრების მოზიდვის სარეკლამო კომპანიას განაგრძნობდა „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) იმავე მენეჯმენტის შემადგენლობით. აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან, 2016 წლის 4 ნოემბერს გამოცემული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის #995-1კ განკარგულება „შპს საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების თაობაზე“. აღნიშნული აქტი მხარემ არ ჩაიბარა, რის გამოც აქტი 29 ნოემბერს გამოქვეყნდა „საკანონმდებლო მაცნეში“.
3. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191), როგორც კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო რეგულაციაში მოექცა 2016 წლის 19 სექტემბრიდან, მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული კომპანია აღიარა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების შემდეგ მას დაუწესდა შეზღუდვები სარეკლამო კამპანიის და სახსრების მოზიდვის კუთხით. პარარელურად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა საგამოძიებო ორგანოებთან. დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საფინანსო კომპანია საქართველოს კლიენტების მიმართ ტერმინი „მეანაბრის“ გამოყენება არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ანაბრის (დეპოზიტის) მიღების უფლება გააჩნიათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს და საკრედიტო კავშირებს.
4. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ კრედიტორების ინტერესების დაცვა, ძირითადად კომპანიისა და კომპანიასთან დაკავშირებული პირების საკუთრებაში არსებულ აქტივებზეა დამოკიდებული. ამასთან, აღნიშნული კომპანიის საქმიანობის თაობაზე საკითხის შესწავლას და გამოძიებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. დამატებით გაცნობებთ, რომ ეროვნული ბანკის კანონმდებლობით, განსაზღვრულ

უფლებამოსილებას სცილდება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, მაგალითად, კლიენტსა და კომპანიას შორის, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში გაფორმებული გარიგებებიდან წარმოშობილ ურთიერთობებში ჩარევა, მით უფრო, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მართვას და მისი ქონების განკარგვის პროცესში ეროვნული ბანკის რაიმე ფორმით მონაწილეობის უფლებას.<sup>2</sup>

2017 წლის 7 თებერვალს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

- თუკი სებ 2012 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 481-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ფლობდა ინფორმაციას, რომ კომპანიის მიერ მოზიდული თანხები აღემატებოდა 400-ზე მეტ ფიზიკურ პირს და აღემატებოდა 5 მილიონ ლარს, რატომ არ მოხდა ორგანიზაციის კვალიფიციურ სუბიექტად მისი აღიარება 2012 წელს ან/და შემდგომ წლებში და რატომ მოხდა მისი კვალიფიციურ სუბიექტად აღიარება 2016 წელს, როდესაც, როგორც აღნიშნავთ, მასმედიის სხვადასხვა საშუალებით დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია ფიზიკური პირებისგან სახსრების მოზიდვის მიზნით?

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა დასმულ საკითხებზე შემდეგი სახის ინფორმაცია:

- „მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 20633191) ექცეოდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზღვრებში, ნებისმიერი იურიდიული პირის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება წარმოადგენს ეროვნული ბანკის არა ვალდებულებას, არამედ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომელსაც ეროვნული ბანკი იყენებს ფინანსური სექტორის სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე. დამატებით განვმარტავთ, რომ 2016 წლის აგვისტოში, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ მიერ სახსრების მოზიდვის სარეკლამო კამპანიის განახლებამ წარმოშვა საფრთხე, რომ ანალოგიური საქმიანობა კვლავ წამოეწყო და განეხორციელებინა იმ ათეულობით კომპანიას, რომლებიც წინა წლებში ასევე ეწეოდნენ სახსრების მოზიდვას და რომელთაც, საქართველოს ეროვნულ ბანკის აქტიური კომუნიკაციის და ქმედებების შედეგად, შეწყვიტეს სარეკლამო კამპანია და დაიწყეს ბიზნესის მოდელის ცვლილება. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია მოეწოდებოდა კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე და მათთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით. ასეთ პირობებში არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ მიერ სახსრების მოზიდვის განახლებული კომპანია საფრთხეს შეუქმნიდა ფინანსური სექტორის სტაბილურობას“.<sup>3</sup>

2017 წლის 7 მარტს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

- სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 19 სექტემბრის #927-1კ განკარგულება კომპანიის კვალიფიციურ სუბიექტად აღიარების შესახებ;
- სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 20 სექტემბრის #931-1კ განკარგულება კომპანიის მიმართ ფართო მასებიდან თანხის მიღების აკრძალვის შესახებ;

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის 2016 წლის 21 დეკემბრის წერილი: #2-08/3874-16

<sup>3</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ მურთაზ კიკორიას 2017 წლის 14 თებერვლის წერილი: #2-08/653-17

- სეზ-ის ვიცე-პრეზიდენტის 4 ნოემბრის #995-1კ განკარგულება კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების შესახებ;
- 2012 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 2 მარტის მდგომარეობით, „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191 და ს/კ 433101895) მიმართ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაგზავნილი ყველა წერილობითი მიმართვის ასლი, რომელიც ეხებოდა კომპანიის/ების საქმიანობაში რისკებზე შეტყობინებას ან/და გაფრთხილებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ორგანიზაციას ზ/აღნიშნული ყველა დოკუმენტის ასლი მოეწოდა.

## II - საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედების ფარგლები

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ორგანიზაციის მიმართ მიწოდებული სეზ-ისა და შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ ხელმძღვანელთან (თამაზ ლობჯანიძე) წერილობითი კომუნიკაციის დოკუმენტაციის შესწავლად, დგინდება შემდეგი სახის მოქმედებების განხორციელება:

2016 წლის 14 აპრილს, საქართველოს ეროვნული ბანკი წერილით მიმართავს საფინანსო კომპანიას და აღნიშნავს შემდეგს: „ვინაიდან სახსრების მოზიდვის მიზნით, აქტიურად აწარმოებთ სარეკლამო კამპანიას, თქვენდამი რწმუნებული ორგანიზაციის საქმიანობა ექცევა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48<sup>1</sup> მუხლის მოქმედების სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ არ შეცვლით ორგანიზაციის დაფინანსების ბიზნესს მოდელს, რაც პირველ რიგში სახსრების მოზიდვაზე ყველა სახის რეკლამის დაუყოვნებლივ შეწყვეტას გულისხმობს და აღნიშნულის თაობაზე არ გვაცნობებთ ა/წლის 20 აპრილამდე, ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკი განიხილავს თქვენდამი რწმუნებული ორგანიზაციის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების საკითხს და ინდივიდუალურად განგისაზღვრავთ საზედამხედველო მოთხოვნებს“.<sup>4</sup>

2016 წლის 21 აპრილის კომპანიის დირექტორის მიმართ, საქართველოს ეროვნული ბანკი წერილით ირკვევა შემდეგი: „ბატონო თამაზ, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მიუღებელია თქვენი პოზიცია, ორგანიზაციის ბიზნესის დაფინანსების მოდელის ეტაპობრივად და არა დაუყოვნებლივ შეცვლასთან დაკავშირებით, რაც ფიზიკური პირების ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის უპირობო შეწყვეტას გულისხმობს. მიუღებელია, ასევე სახსრების მოზიდვაზე ყველა სახის რეკლემის არ შეწყვეტის თქვენეული არგუმენტაცია“.<sup>5</sup> სეზ ამავე წერილით, კომპანიისგან მოითხოვს ინფორმაციის წარმოდგენას კომპანიის ფინანსური მაჩვენებლის და ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების თაობაზე და მოქმედებისთვის განსაზღვრავს ვადას 2016 წლის 28 აპრილამდე პერიოდს.

2016 წლის 15 ივნისის კომპანიის დირექტორის მიმართ, საქართველოს ეროვნული ბანკი წერილით ირკვევა შემდეგი: „საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ წარმოგედგინათ ინფორმაცია თქვენდამი რწმუნებული კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებისა და ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების თაობაზე, თუმცა ეროვნული ბანკის არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, ინფორმაციის დამუშავებისთვის და შესაბამისი ფორმატით, სეზ-ში წარმოდგენისთვის საჭირო დრო დაეთმო სხვადასხვა ხასიათის მიმოწერას, რაც ვფიქრობთ, დროის გაჭიანურებას უფრო ისახავდა მიზნად. ეროვნული ბანკის პირველი წერილობითი მითითებიდან თითქმის თვენახევრის შემდეგ, ინფორმაციის წარმოსადგენად დამატებით ითხოვეთ ვადა, თუმცა ამ ვადაშიც ვერ იქნა უზრუნველყოფილი მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა“.<sup>6</sup>

2016 წლის 19 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის #927-1კ განკარგულების საფუძველზე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 2063321191) აღიარებულ იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. გადაწყვეტილების შესახებ სეზ-ის მხრიდან ამავე დღეს ეცნობა კომპანიის მენეჯმენტს.<sup>7</sup>

<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 14 აპრილის წერილი: #430-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

<sup>5</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 21 აპრილის წერილი: #465-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

<sup>6</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 15 ივნისის წერილი: #682-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 10 სექტემბრის წერილი: #930-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

2016 წლის 20 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის #931-1კ განკარგულების საფუძველზე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 2063321191) დაუწესდა აკრძალვები და შეზღუდვები. გადაწყვეტილების შესახებ სებ-ის მხრიდან ამავე დღეს ეცნობა კომპანიის მენეჯმენტს.<sup>8</sup>

2016 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის #954-1კ განკარგულების საფუძველზე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) რეგისტრირებული იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. გადაწყვეტილების შესახებ სებ-ის მხრიდან ამავე დღეს ეცნობა კომპანიის მენეჯმენტს.<sup>9</sup> *(აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთაა სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანება დასახელებული თარიღით და მიღების ნომრით. სებ-ის ორგანიზაციის მიმართ 2016 წლის 21 დეკემბრის წერილში, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტის აღიარებისთვის მითითებულია #995-1კ განკარგულება და მიღების თარიღად 2016 წლის 4 ნოემბერი, რაც სებ-ს ორგანიზაციისთვის, არ წარმოუდგენია).*

---

<sup>8</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ არჩილ მესტვირიშვილის 2016 წლის 20 სექტემბრის წერილი: #936-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას 2016 წლის 4 ოქტომბრის წერილი: #953-1კ კომპანიის დირექტორ თამარ ლობჯანიძის მიმართ.

### III - სამართლებრივი დასკვნა/შეფასება

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მოქალაქეთა კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად გაფლანგვის ფაქტზე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დირექტორი თამაზ ლობჯანიძე და ამავე კომპანიის ფაქტობრივი მმართველი, მერაბ ფერაძე დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, 2013 წლის 14 აგვისტოს მერაბ ფერაძის ორგანიზებით, დარეგისტრირდა შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“. საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენდა მოსახლეობისგან მაღალი საპროცენტო განაკვეთით თანხის მიღება. კლიენტთა მოზიდვის მიზნით, ორგანიზაცია აქტიურად ეწეოდა სარეკლამო კამპანიას, რის საფუძველზეც არაერთმა მოქალაქემ ანაზრის სახით განახორციელა ფულადი შენატანი. თამაზ ლობჯანიძემ მერაბ ფერაძის ორგანიზებით, გამოძიების მტკიცებით, არამიზნობრივად გახარჯა აღნიშნული თანხები, კერძოდ, ყოველგვარი უზრუნველყოფისა და ეკონომიკური გათვლების გარეშე, გასცა სესხები, როგორც თავად მერაბ ფერაძის სახელზე, ასევე მის საკუთრებაში არსებულ არამომგებიან საწარმოებზე. ჯამში, სესხის სახით მერაბ ფერაძეზე გაცემულ იქნა კრედიტორთა მიერ შეტანილი 10 326 096 ლარი, 13 292 949 აშშ დოლარი და 796 136 ევრო, ხოლო შპს „განთიადზე“ – 382 324 ლარი და 108 300 აშშ დოლარი. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსგან“ მიღებული თანხა მერაბ ფერაძემ არ დააბრუნა და გამოიყენა პირადი მიზნებისთვის, რის გამოც მშნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიადგა კომპანიის 2 648 მენაბრეს და მათ მიერ კომპანიაში ანაზრის სახით შეტანილი თანხა ამ დრომდე დაუბრუნებელია. ამჟამად საფინანსო კომპანიის დავალიანება მენაბრეთა მიმართ შეადგენს 76 000 000 ლარს. გამოძიების მიერ დაყადაღებულია თამაზ ლობჯანიძის და მერაბ ფერაძის, მისი ოჯახის წევრების და ნათესავების უძრავი და მოძრავი ქონება, საწარმოთა წილები და ანგარიშები. ასევე ჩატარებულია სხვადასხვა საცხოვრებელ სახლებსა და ოფისებში ჩხრეკები და აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი მოქმედებები დამნაშავე პირთა მიერ შესაძლო გადამალული ქონებების აღმოჩენის მიზნით. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკი-ს 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელით სახით ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე პატიმრობას.

მოცემულ ეტაპზე, მნიშვნელოვანია დადგინდეს სახელმწიფოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროულობის, ეფექტურობისა და მართლზომიერების ფარგლები. სწორედ ამ ინტერესს ისახავდა მიზნად ორგანიზაცია, რომელმაც საკითხთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს ეროვნული ბანკიდან. ორგანიზაცია, შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კრედიტორების ინფორმირებისა და დაცვის ღონისძიებებისკენ გადადგმული ნაბიჯები დაგვიანებული აღმოჩნდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ეფექტურ და სწრაფ მოქმედებებს შეეძლო კომპანიას ნაკლები დაზარალებული ჰყოლოდა. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის პასხუისმგებლობის საკითხი შექმნილ ვითარებაში, იკვეთება, რაც გამომდინარეობს კანონის შემდეგი მოთხოვნებიდან და ბანკზე დაკისრებული უფლებამოსილებიდან.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48<sup>1</sup> მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკს ეკისრება შემდეგი სახის უფლებამოსილება:

1. იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან ან რომლის მიერ ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა ხუთ მილიონ ლარს აღემატება, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისათვის დადგენილი მოთხოვნები.
2. იურიდიული პირი, რომლის მიერ მოზიდული სახსრების ოდენობა არ აღემატება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას ან რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე ნაკლები ფიზიკური პირისაგან, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში,



გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, თუ მისი საქმიანობა, მოზიდული სახსრების რაოდენობა, საქმიანობის რეგიონი ან სექტორი ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორისათვის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ან თუ მისი საქმიანობა და კლიენტთა მოზიდვის მეთოდები მეტყველებს იმ წრის მნიშვნელოვნად გაფართოების გეგმაზე, რომლისგანაც ხდება სახსრების მოზიდვა.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება, რაც მოიცავს რეგისტრაციას, რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამჭვავების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრას, შემოწმებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას.
4. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს, იგი უფლებამოსილია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასთან და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა. საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე ეროვნული ბანკის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, შესწავლილი მასალის საფუძველზე, დადგენილია, რომ შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 206332191) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია 2008 წლის 20 ივნისს, ხოლო შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 433101895) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია 2013 წლის 14 აგვისტოს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები, აკრძალვები და რეგულაციები, ერთიანობაში უნდა გავრცელებულიყო ზ/აღნიშნულ ორივე საფინანსო კომპანიის საქმიანობის მიმართ. საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საფრთხეების თაობაზე და დაფინანსების ბიზნესს მოდელის შეცვლის თაობაზე პირველად გაუგზავნა 2016 წლის 14 აპრილს. ადრესატი გახდა 2008 წელს დაფუძნებული შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ 206332191). წარმოდგენილი მასალის საფუძველზე უდავო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2016 წლის 14 აპრილიდან 2016 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, ექვსი თვის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ზ/აღნიშნულ კომპანიის მენეჯმენტს შორის მიმდინარეობდა და არ შედგა შედეგზე მიმართული კომუნიკაცია. შესაბამისად, 2016 წლის 19 სექტემბერს, სებ-ის მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების თაობაზე, ხოლო 2016 წლის 20 სექტემბრიდან კომპანიას დაუწესდა აკრძალვები და შეზღუდვები. რაც შეეხება 2013 წელს რეგისტრირებულ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895), უნდა ვივარაუდოდ, რომ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად რეგისტრაცია გაიარა 2016 წლის 4 ოქტომბრიდან, ვინაიდან შესაბამის ბრძანებაში, რომელიც კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტად კომპანიის რეგისტრაციას ეხება, იმ კომპანიის საიდენტიფიკაციო მონაცემით არის დასახელებული (კერძოდ, ს/კ 206332191), რომელი კომპანიაც სებ-ის მხრიდან 2016 წლის 19 სექტემბერს უკვე კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად უკვე გახლდათ აღიარებული. შესაბამისად, ორგანიზაციისთვის დღემდე დაუზუსტებელი დარჩა, რამ გამოიწვია საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მსგავსი იურიდიული უსწორობა, როდესაც უკვე დარეგისტრირებული კომპანიის ხელმეორედ რეგისტრაცია მოხდა, ან რამედენად სიმართლეა აღნიშნული ფაქტი, როდესაც ყველა თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნულ ბანკს, 2016 წლის 4 ოქტომბერს, კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად 2013 წელს რეგისტრირებული შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) უნდა ეღიარებინა. *(აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთაა სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანება დასახელებული თარიღით და მიღების ნომრით. სებ-ის ორგანიზაციის მიმართ 2016 წლის 21 დეკემბრის წერილში, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტის*

აღიარებისთვის მითითებულია #995-1კ განკარგულება და მიღების თარიღად 2016 წლის 4 ნოემბერი, რაც სებ-ს ორგანიზაციისთვის, არ წარმოუდგენია).

სწორედ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომპანიის მენეჯმენტს შორის წერილობითი კომუნიკაციის შედეგად არსებული მასალის საფუძველზე დაისმის საფუძვლიანი კითხვა, როდის გახდა ცნობილი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) და შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) მხრიდან მომხმარებელთა დამაზიანებელი და რისკის მქონე საქმიანობის თაობაზე და როდის გახდა გადამწყვეტი ზომები მიღებული. ორგანიზაციის მხრიდან დასმულ კითხვაზე: მოგაგწოდოთ ინფორმაცია, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თქვენი შესწავლისა და მოკვლევის თანახმად, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) მიერ მოზიდული სახსრები, როდის აღემატა (რიცხვი, თვე, წელი) ოთხასზე მეტ ფიზიკურ პირს ან/და ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა, როდის არემატა ხუთ მილიონ ლარს? (რიცხვი, თვე, წელი), საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის 21 დეკემბრის წერილით აღნიშნული იქნა, რომ სებ-მა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიიღო 2012 წლის 27 ივნისს. საქართველოს ეროვნული ბანკის კიდევ ერთი 2017 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) 2012 წლის 27 ივნისიდან ექცეოდა საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზღვრებში და ნებისმიერი იურიდიული პირის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება წარმოადგენს ეროვნული ბანკის არა ვალდებულებას, არამედ დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა უფლებამოსილი და არა ვალდებული საქართველოს ეროვნული ბანკი შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) ეღიარებინა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად, პასუხს იძლევა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის 2-ელი ნაწილი - იურიდიული პირი, რომლის მიერ მოზიდული სახსრების ოდენობა არ აღემატება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას ან რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე ნაკლები ფიზიკური პირისაგან, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, თუ მისი საქმიანობა, მოზიდული სახსრების რაოდენობა, საქმიანობის რეგიონი ან სეგმენტი ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორისათვის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ან თუ მისი საქმიანობა და კლიენტთა მოზიდვის მეთოდები მეტყველებს იმ წრის მნიშვნელოვნად გაფართოების გეგმაზე, რომლისგანაც ხდება სახსრების მოზიდვა. შესაბამისად, ასეთი „ვალდებულება“ ეროვნულ ბანკს იმ მომენტიდან წარმოეშვა, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული კანონის დასახელებული მუხლის პირველი პუნქტით დამდგარი გარემოება - კომპანიის კლიენტი აღემატა 400 კლიენტს, ხოლო მოზიდული თანხები - 5 მილიონს, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკს არ მოუხდენია 2016 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობამდე.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 206332191) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება არ მოხუდენია არც იმ ბოლო 6 თვის განმავლობაში, როდესაც ცნობილი გახდა აგრესიული სარეკლამო კამპანია და კომპანიამ არაერთი მიმართვის შედეგადაც, არ შეცვალა დაფინანსების ბიზნესს მოდელი, რომლიც პირველივე შემხებლობისთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, მიუღებელი იყო. ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის უცნობი იყო კიდევ ერთი შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) საქმიანობის თაობაზე, დგინდება სებ-ის ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილი 2016 წლის 21 დეკემბრის წერილით. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის გარემოება, რომ კომპანიას კრედიტორების მიმართ, სწორედ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ 433101895) სახელით გააჩნდა სესხის ხელშეკრულებები გაფორმებული, აღნიშნული კომპანია კი 2013 წლიდან საქმიანობას და არსებობს. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს, 2016 წლის აპრილიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეტენზიები რომელი სამეწარმეო სუბიექტის მიმართ არსებობდა - 2008 წელს დაფუძნებული და 2013 წელს რეგისტრირებული ერთიდაიმავე სახელწოდებით მოქმედი კომპანიის მიმართ, რატომ არ გადაამოწმა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა

საკითხის შესწავლის პროცესში, თუ რომელი კომპანიის რეგულაციით შეძლებდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას? არსებული მდგომარეობით, მომხმარებელი დააზარალა ორივე კომპანიამ, რომლის თავიდან აცილების ყველანაირი იურიდიული ბერკეტი, საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნდა - 2012 წლის 27 ივნისიდან 2016 წლის 14 აპრილამდე, 2016 წლის 14 აპრილიდან 2016 წლის 19 სექტემბრამდე, 2016 წლის 19 სექტემბრიდან 2016 წლის 4 ოქტომბრამდე. შესაბამისად, ამ პერიოდებში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზისა და საფუძვლიანი შესწავლის მიხედვით.

ორგანიზაციამ, აგრეთვე შეისწავლა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საზოგადოების მიმართ პირველი საჯარო განმარტებების პერიოდიც. სებ-მა პირველი განცხადება საკითხზე გააკეთა 2016 წლის 5 ოქტომბერს - „ვინაიდან, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“, ბანკებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტს და მის მიმართ არ ვრცელდებოდა შესაბამისი საზედამხედველო მოთხოვნები (მ.შ. კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობის, რისკების მართვისა და მათი გამჟღავნების კუთხით), დიდი იყო ალბათობა, რომ არსებითი რისკის ქვეშ დამდგარიყო მოზიდული სახსრების დაცულობა. აღნიშნული რისკების თაობაზე, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, არაერთხელ იქნა გაფრთხილებული კომპანიის მენეჯმენტი, რომელსაც მოეთხოვრებოდა დაფინანსების ბიზნეს-მოდელის შეცვლა და ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის სარეკლამო კამპანიის შეწყვეტა. ასევე, მათ ეცნობათ, რომ სებ-ის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, მოხდებოდა კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება, რაც კომპანიისათვის სხვადასხვა მოთხოვნისა თუ შეზღუდვის დაწესების წინაპირობა იქნებოდა, მათ შორის სახსრების მოზიდვის კუთხით. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ოფიციალური განცხადებით, არაერთხელ მოუწოდა სიფრთხილისკენ მომხმარებელსაც. სამწუხაროდ, კომპანიის მენეჯმენტმა არ გაითვალისწინა ეროვნული ბანკის გაფრთხილება, რის გამოც, კომპანიასთან დაკავშირებული რისკების კიდევ უფრო ზრდის თავიდან აცილების მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ აღიარებული იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აკრძალა ფართო მასებიდან თანხების მოზიდვა და დაუწესდა აკრძალვა ნებისმიერი სახის მომსახურებაზე კომპანიასთან დაკავშირებულ მხარეებთან. რაც შეეხება ვალდებულებებისა და სესხების გასტუმრებას, ამ მიმართულებით კომპანიას არანაირი აკრძალვა არ აქვს და შეუძლია გააგრძელოს ვალდებულებების მომსახურება“.

2016 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომპანიის მიმართ გააკეთა ოფიციალური საჯარო განცხადება და მომხმარებლებს მიაწოდა ინფორმაცია. კერძოდ, სებ-ის განცხადებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ აღიარებული იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აკრძალა ფართო მასებიდან თანხების მოზიდვა და დაუწესდა აკრძალვა ნებისმიერი სახის მომსახურებაზე კომპანიასთან დაკავშირებულ მხარეებთან. რაც შეეხება ვალდებულებებისა და სესხების გასტუმრებას, ამ მიმართულებით კომპანიას არანაირი აკრძალვა არ აქვს და შეუძლია, გააგრძელოს ვალდებულებების მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია შეცვლის დაფინანსების ბიზნეს-მოდელს და არაინფორმირებული და დაბალშემოსავლიანი პირებიდან მოზიდულ მცირე ოდენობის სახსრებს ჩაანაცვლებს კვალიფიციური მსხვილი ინვესტორებით, რომელთაც შესწევთ უნარი, შეაფასონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, აღნიშნულ კომპანიაზე აღარ გავრცელდება "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის 48<sup>1</sup> მუხლის ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნები და შეზღუდვები“.

2016 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომპანიის მიმართ მორიგი განცხადება გააკეთა, სახელწოდებით: „საქართველოს ეროვნული ბანკის მორიგი გაფრთხილება მომხმარებელს“. განცხადებაში სებ-მა აღნიშნა, რომ „საფინანსო კომპანიები, რომელთა საქმიანობა მოქმედი

კანონმდებლობის თანახმად არ კონტროლდება ეროვნული ბანკის მიერ, შესაძლოა ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნეს საქმიანობაში აბანდებენ. რიგ შემთხვევაში კი მათი საქმიანობა, "ფინანსური პირამიდის" ნიშნებსაც ატარებს. საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე და მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ეხება სხვადასხვა იურიდიული პირის მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის, ან თამასუქის სახით მოზიდვას. ასევე, თანხის დაბანდებამდე აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს მაღალ რისკს. რაც შეეხება, შპს "საფინანსო კომპანია საქართველოს", ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ოქტომბერს შემდეგი განმარტება გააკეთა“.

ორგანიზაცია აღნიშნავს, საქართველოს ეროვნულ ბანკს მოსახლეობის ინფორმირება კანონით წინსწრებად არსებული ყველა გარემოების პროცესში უნდა მოეხდინა. ამასთან, ეროვნულ ბანკს უნდა შეესწავლა და გაკეთებინა განცხადებები რეგისტრირებული ორივე სამეწარმეო კომპანიის თაობაზე, რაც არ გამოიწვევდა 2016 წლის 19 სექტემბრიდან 2016 წლის 4 ოქტომბრამდე შუალედში კომპანიასთან ახალი მომხმარებლების ხელშეკრულებების გაფორმებას და მათ განსაკუთრებულ ფინანსურ ზარალს.